# პიროვნების ექვსფაქტორიანი მოდელის მიმართება სარისკო კვებით ქცევებსა და გარეგნობის შესახებ შფოთვასთან

**თამარ მამულაშვილი**

სადისერტაციო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე კლინიკური ფსიქოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

კლინიკური ფსიქოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნატა მეფარიშვილი, ასოცირებული პროფესორი

თბილისი, 2021 წელი

**განაცხადი**

„როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ

ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების

მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ

მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო

წესების შესაბამისად. „

თამარ მამულაშვილი

18.06.2021

## აბსტრაქტი

გარეგნობის შესახებ შფოთვა ეხება გარეგნობას, სხეულის ფორმის ჩათვლით და სხვების მიერ გარეგნობის უარყოფითი შეფასების შიშს. კვებითი აშლილობები კი ექსკლუზიურად გასუქების შიშზე ფოკუსირებული შფოთვითი აშლილობებია, რომელსაც სისტემატურ შფოთვასთან ერთად კონკრეტული სარისკო ქცევითი გამოვლინებების ახასიათებს. წინამდებარე კვლევის მიზანია დავადგინოთ, როგორ უკავშირდება გარეგნობის შესახებ შფოთვა, სარისკო კვებითი ქცევები და პიროვნების ექვს-ფაქტორიანი მოდელი (HEXACO). მონაწილეებმა (N=68) შეავსეს გარეგნობაზე შფოთვის, კვებითი აშლილობის სრკინინგის და პიროვნული ნიშნების გასაზომი კითხვარები. კორელაციური და მრავლობითი რეგრესული ანალიზით ჩვენ მივიღეთ დადებთი კავშირები გარეგნობაზე შფოთვას, კვების შეზღუდვასა და ემოციურობას შორის. ასევე, ემოციურობა აღმოჩნდა სარისკო კვებითი ქცევების კარგი პრედიქტორი. თუ როგორ უკავშირდება ემოციურობა გარეგნობაზე შფოთვასა და კვების ქცევებს, განხილული გახლავთ კლევაში.



**საძიებო სიტყვები:** კვებითი აშლილობები, სარისკო კვებითი ქცევა, გარეგნობის შესახებ შფოთვა, hexaco, პიროვნული ნიშნები

## მადლობა

მადლობა მოცემული პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელს ქ-ნ ნატა მეფარიშვილს. სამაგისტრო სემინარის კურსის ხელმძღვანელს ქ-ნ ნინო სხირტლაძეს. ჩემს კოლეგებსა და მეგორებს მარიამ გერგაულს და თამარ გოშაძეს კვლევის ჩატარებაში გაწეული დახმარებისთვის.